ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 15.18 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.18 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის ბანკი მოითხოვს მისთვის სადაზღვევო პოლისის (ბანკის მიერ განსაზღვრული პირობებით) წარდგენას, კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება:
15.18.1 დაზღვევა განახორციელოს ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ამ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფების/პირობების შესაბამისად;
15.18.2 დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით.
15.18.3 უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად/მოსარგებლედ ბანკის დასახელება.
15.18.4. თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ამ ხელშეკრულების/დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს ბანკს განახლებული სადაზღვევო პოლისი.
15.18.5. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიო, ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი ოდენობით. ამასთან, სადაზღვევო პრემიის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს გადახდა წარმოადგენს საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებულ აუცილებელ გადასახდელს და ამ გადასახდელის გადახდის (ან გადახდის ვალებულების აღების) გარეშე არ მოხდება საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის გაცემა. სადაზღვევო პრემიის და/ან მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს/გადასახდელის ოდენობა განსაზღვრული იქნება შესაბამისი ხელშეკრულებით ან/და სადაზღვევო პოლისით.

შეიცვალოს ხელშეკრულების 15.19 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.19 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას/დაზღვევის საკომისიოს ამ ხელშეკრულებით / დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.

ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.27 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.27. კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას, ბანკის მოთხოვნით განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ან განაახლოს მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.28 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.28. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისთვის.

ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.29 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.29. წინამდებარე ხელშეკრულების 15.28 პუნქტის შესაბამისად, ბანკის მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს ბანკის მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვევლისთვის გადახდილი თანხის ბანკის სასარგებლოდ სრულად გადახდა.